

14 ქრისტემბის. 1914 წ.

80000 ჩალი გონის

წლიუნი ფასი  
ცის-კუნის

= 5 მან. =

უოველ კვირეული საჭოგადო-ეკონო.

ცალკე ნომერი 10 რაც.

80000 და სალიტორიათურო შურებელი

რედაქცია ღია 9—3 სათამდე.

ჭელიჭადი გესახე

შინაგართი: თბილის, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპუტია: თბილისი კლდე.



ზერგანელი გარბიან. ნახ. ლოდიგინისა.

## ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. საქართველო და სომხეთი. — ა. — სა.
2. შოუსაგლობა. — ს. — გესი.
3. განრება (ლექსი). — მთის ნივისა.
4. გურმანია და ბერძნები.
5. ქართველთა შორის ნირნეზურა. თავის მომსპობი საზოგადოება. — ფარსმან-ფარუხისა დ კ-ძისა.
6. სოფლის გადაჭირი. — ქართლელისა.
7. პრეს.
8. ქრონიკა.
9. ფესტივალი. — ა. შ-ისა.

## საქართველო და სომხეთი

ჩვენში არ მოიპოვება არც ერთი პარტია, არც ერთი ბეჭდვითი ორგანო, რომელიც სათანადოთ არ ეცურობოდეს თსმალოს სომხეთის საკითხს. ჩვენ, ქართველებს, არამაც თუ საწინააღმდეგო არა ვვაძვს რა სომხეთის თავისუფლებისა, პრინციპიალურად შომხერებიც უნდა ვიყოთ და ეს ისეც არას. და თუ მაინც რამდენიმე არსებობს ჩვენსა და სომხებს შორის ამ საკითხის გაშო, ეს უნდა მიეწოდოს ზოგიერთების გაუგებარ ხელს, როგორც ჩვენის, ისე სომხების მხრიდან. ამას წინადან ქართულ პრესაში გიმოითქვა აზრი, რომ სომხეთის თავისუფლება, სხვათა შორის, იმისთვისაც არის ქართველებისთვის ხელსაყრელი, რომ შეამცირებს სომხობას საქართველოში. ვვგონა, რომ ასეთი აზრი სიმართლეს არ უნდა იყოს მოკლებული. მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი და ერთმა სომხურმა გაზეობა გამოაცხადა: ჩვენ კავკასიიდან ფეხსაც არ დაგეძრამთ. მართალიც რომ იყოს ასეთი განცხადება, ვფიქრობთ, რომ ასეთი სიმართლე ჯიბრით არის ნათევამი. უპირველესად ყოვლისა ასეთი განცხადება შესწორების მოითხოვს. ჩვენ ძალიან ნაკლებ გვაინტერესებს — წავლენ, მართლა სომხები კავკასიიდან თუ არა. იმის გარდა, რომ შეუძლებელია ეჩმიაძინის კავკასიიდან თსმალოს სომხეთში გადატანა, რაც თავისთვის ჯულისხმობს, რომ სომხები კვლავ იქნებიან კავკასიაში — ჩვენ სამშობლოს მოელი კავკასია არ შეაღვენს და ძალიან გულგრილად შეგვიძლიან იყიდუანთ ის ფაქტი, რომ ერევნის ჯუბერნიაში, მაგალითად, კვლავ იქმნებიან სომხები. მაგრამ შეამცირებს თუ არა სომხების შემოსევას საქართველოში განთავისუფლებული სომხეთი, ეს ჩვენთვის დიდი საკითხია და უფლება გვაქვს ამის შესახებ რამე იმედი გამოისთვით.

თავი დაეინებოთ შთაბეჭდილებას, რომელიც შესაძლებელია მრავალნაირი იყოს და ვაკითხოთ მხოლოდ ერთი: რა გავლენას შოთაძენს განთავისუფლებული სომხეთი საქართველოზე? ახლა საქართველოში სამასი ათასი სომები სცხოვრობს, რომლის უმრავლესობა ქალაქებში ბინადრობს. შეიძლება რამე იმედი ვიქონიოთ, რომ ნაწილი ამ სომხებისა თავის საშობლოს შიაშურებს? ვვგონა, რომ საუუძველი ამ იმედისა არსებობს. ნეუიუქრებენ სომხები, რომ ჩვენი მსჯელობა მათთვის სავისუ

დებულო, მაგრამ მათ უფლება უნდა მოგვცენ ისეთ დროს, როცა ჩვენ თვალწინ ასეთი დიდი საკითხი სწყდება, სწორედ ისე ვომსჯელოთ. „კავკაზულები სლოვო“-ს განცხადება, რომ თბილისის თვითმშემცველობის ხმასნები სომხურმა არ წავლენ, პასუხი არ არის ჩვენს შეკითხვაზედ. ბატონი ხატისოვი და ბატონი დოლუხანოვი რომ სომხეთში არ წავლენ, ეს ჩვენ კარგად ვიცით. სამშობლო ქვეყანაში დედამიწის უკოდინართა მისდომა იგივეა, რომ უკეთ ქვეყანაში უპასპორტო მიხვიდე, არ წავლენ იქ არა მარტო სომხები ხმასნები, არ წავლენ სომხები აღვოკატებიც. რადგანაც მათი ერთად ერთი ენა რუსულია, რომლითაც თავისუფალ სომხეთში მართ-მსაჯულებას სამსახურს ვერ გაუწევენ. მაგრამ სომებ ხმასნებისა და აღვოკატების გარდა არსებობს ჰერმარიტი სომხები ხალხი, პატრიოტები შეგნებით, სომხები იდეურად, რომლებიც თავის უწმინდეს მოვალეობად ჩასთვლიან ყოველი კუთხითან იმ ქვეყანას მიმშერონ, იმ თავისუფალ სამშობლოს, რომლისკენაც გზა ასე სისხლიანი და ეკლიანი იყო. თუ არ ეს, მათი და მათ მამა-პაპათა ბრძოლი მოკლებული იქმნება უდიდეს სიტკბოგბას.

მაგრამ ისინი წავლენ არა მარტო იმიტომ, რომ ეს სიტკბოგბა იწვნიონ, იმას მოითხოვს თვით რეალური ინტერესები მათი სამშობლოსი. მომავალ თავისუფალ სომხეთში ყველაზე ნაკლები თვით სომხები იქნებიან. იმას იმბობენ ის ციფირები. რომელთა გასაბათილებლად სომხებს ჯერ არ უზრუნველით. ევროპის დიპლომატიამ თუ გინდა კადევაც შექმნას სომხეთი უსომხებით, არა ვვგონა არა პატრიოტი სომხები დაიკავიოთილოს და ისინი ეცდებიან დიმპლომატიური ფორმული რეალურ ცნებად იქციონ და ისეთი სომხეთი შექმნან, რომელიც შეეფერება მათ ეროვნულ იდეას. სახელმწიფო და სამოქალაქო ცხოვრება სომხეთისა, ვაჭრობა და მრეწველობა, მეურნეობა, სწავლა-განათლება და მთელი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება მრავალ ძალებს მოსთხოვს სომხის ხალხს და პირველი რაც უნდა შექმნას სომხეთში, ეს არის მაღალი კოშე და დიდი საყვირი, რომ თავს გაბნეულ მოქალაქეებს მოუწოდოს. საიდან უნდა მოუწოდოს მან ამ მოქალაქეებს? ყველა იმ ქვეყნებიდან, საღაცე კა სომხები სცხოვრობენ და საქართველოც ერთი იმ ქვეყანათაგანია, საღაცე სომხები სცხოვრობენ და რომელიც ყველაზედ ახლო სდევს სომხეთშედ.

წავლენ თუ არა საქართველოდან სომხებთ თავის ახალ სამშობლოში? ვვეუბნებიან რომ არა, იმ

უარს საპატიო მიხეხებში აჩვევენ, მაგრამ ასეთი განცხადება ჩვენ მაინც უცნაურიდ მიგვაჩნია. უმა- ლლესი ეთიკა თანამედროვე მოქალაქობრივობისა ის არის, რომ ადამიანი თავის ქვეყნის ქვეშევრდო- მი იყოს. და ეს გრძნობა რომ სოჭხის ხალხში არ იყვენ, მაშინ არც იბრძოლებდა თავისუფლებისთვის. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ისეთი სომები, რომე- ლიც სიამოვნებით არ იცხოვრებდეს თავის ტერი- ტორიაზედ. მაგრამ, გვეუბნებიან რომ მას ბევრი ინტერესი აქვს თავის სამშობლოს გარეთაც, იგი მიბმულია სხვა ქვეყნებთან ნივთიერად. კერძოდ საქართველოზედ უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი წარ- მოდგენა გადამეტებულია. ჩვენ ახლა ხელთ არა გვაქვს ზედმიწევნით ცნობები სომეხთა რაოდენო- ბისა და მათი მფლობელობისა საქართველოში. მაგრამ ჩვენ ვიცით რა ხასიათისა როგორც ეს რაოდენობა, ისე ეს მფლობელობა. თავი რომ დავანებოთ იმ სომხებს, რომელიც ისტო- რიულიდ სტეფანებნ საქართველოში, რაც მათ საერთო რიცხვის უმცირესობას შეაღენს — უმრავ- ლესობა რეთ ელემენტს წარმოადგენს, რომლის ბინადრობა იმ პროფესიით განისაზღვრება, რომელ- საც მისდევს იგი. თბილისში გადმოსახლებულ სომ- ხის ნივთიერი ინტერესი, რომელიც ან მეწალეობას მისდევს, ან ზეინკლობას, ან ნავთით ხელზეც ვაჭ- რობას და მეეზოვეობას. ისეთი ღრმა ინტერესი არ არის, რომ ამ შეიძლებოდეს, ამის გამო, მათი თბილისიდან დაძრო. ამისთვის საჭიროა მხოლოდ, რომ სომხის პტრიოტებში მართოს მართლაც, მოწყონ ახალ სომხეთში სიმუშაო. რაც შეერგება მდიდარ სომხებს, რომლებსაც ძვირული სისლები სისლების ქუჩებზედ — მათ შესახებ აშკარად შეგვიძლიან განვალადოთ, რომ არავითარ წარმოე- ბას ისინი საქართველოში არ მისდევენ. ისინი ან ბაქოს ნავთით იკვებებიან, ან მსხვილი ვაჭრობით. მაგრამ როგორც ბაქო არა სდევს საქართველოს საზღვრებში და არ არსებობს კომერციული წესი, რომ ბაქოს ნავთის მწარმოებელი უსათუოდ თბი- ლისში სტეფანებდეს, ისევე მსხვილი ვაჭარი მუდან თავისუფალია ადგილის გამოცვლაში. საჭიროა მო- ლოდ რომ ამას მართლაც მისი ვაჭრული ინტერე-

სი მოითხოვდეს. ამ მხრივ კი ჩვენ არა გვაონია, რომ ანალი სომხეთი ნაკლებ სავაჭრო ინტერესს წარმოადგენდეს პატრიოტ სომებ ვაჭრისაცვის. თუ ასე საქმე გალაქებში, ასევე არამატებული სოფლის მეურნეობაში. საქართველოში ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ მსხვილ სომხურ მეურნეობას. რაც შევ- ხება მიწის მფლობელობას, იგი სხვა და სავანიარია და, რაც უფრო სიყურადღებოა, ეროვნულ-სომხუ- რი მნიშვნელობა ამ მფლობელობას არა აქვს. სომ- ხური მფლობელობა პარცელიაღური ტიპისაა სა- ქართველოში და იქ კი, საღაც სომხები კომპაქ- ტურ ბასას წარმოადგენენ, ეს მფლობელობა სი- კუთრებაზედ არ არის დაფუძნებული, ასე მაგალი- თად, ახალქალაქის მაზრაში, საღაც მოლად სომხე- ბი სტეფანებენ — მიწა სახაზინოა, ნუ თუ, თუ კი ახალქალაქის სომხებს, რომლებიც სულ მოკლე ხანში დასახლდნენ აქ, ვინმე საკუთრებას გაუჩენს სამხეთში — ისინი არ ირჩევენ იქ წასკლის?

ყველა აქ მოსაზრებას დიდი გამასწორებელი მნიშვნელობა აქვს იმ ნაკლისთვის, რომელიც უხა- თულდ ზედ დაერთვის პირველ ხანებში სომხეთის ავტონომიას. ეს ნაკლი კი, როგორც ზევითაც აღ- ნიშებო, მდგომარეობს იმაში, რომ ახლანდელ მო- სახლების მიხედვით, სომხეთში თვით სომხები უშ- ცირესობას შეაღენენ. ამას ანგარიშს გაუწევენ სხვა საბელმწიფონი და ანგარიში უნდა გაუწიონ თვით სომხებმაც. თუ ეს ნაკლი გამოსწორებული არ იქმნება — ჩვენ სომხეთის თავისუფლება ვერ წარ- მოკიდგენია. სახელმწიფოს მოწყობა რომ ადვილი იყოს უხალხოთ, ებრაელ მიღიონერებისათვის სულ უპრალო საქმეს წარმოადგენს პალესტინის ყადვა. და სომხისტების გეგმაც სწორედ იმიტომ დაიმსხერა, რომ პალესტინაში წასკლის მსურველი კოტა ალ- ბორისდა ნუ თუ სომხებიც ამას ჩაიდენენ?

— 9.

— 10 —

(4)

## მოუსავლეობა

გაზეთებს ყოველდღე მოაქვთ საშინელი ამბები საქართველოს ყოველი კუთხიდან, საკი ხალხს შიმ-შილი მოელის. იმერეთი, ქართლი და კახეთი ერთ-გვარიდ არიან დაზარალებულნი როგორც მოსავლობით, ისე ომისა გამო.

გურიასა და სამეგრელოში წვიმებში წაიხდინეს ის მცირე მოსავალიც პურისა და სიმინდისა, რო-მელიც ჩვეულებრივზე ნაკლები მოვიდა წრეულს. ამში გაწვეულთა ოჯახები, უმუშაველოდ დარჩე-ნილნი, ვერ ასწრობდნენ კირნახულის დაბინავებას და ცველა ამ მიზეზის გამო ჩვეულებრივი მოსავალი 10—20 პროცენტამდე დაეცა; იქ, სადაც გლეხს 200—300 ფუთი სიმინდი უნდა მოსვლოდა, მთე-ლი ოჯახის გამოსაკვებად 20—30 ფუთი შერჩა ხელში. ზოგიერთ სოფელში, უფრო ღარიბს ოჯა-ხებში ამაზედაც ნაკლები შემოვიდა და მთელს ამ მხარეს შიმშილობა მოელის სულ ცოტა ხანში.

ასეთ საერთო კრიზისს ზედ დაერთო ლვინის გაყიდვის აკრძალვაც, რამაც მთელი ქუთაისის გუ-ბერნიის მეურნეობა ერთი ხელის მოსმით გაამტკე-რა. იქ, სადაც ასი, ათასი ფუთობით იყიდებოდა ყურძენი თუ ღვინო, წრეულს ბაზარში დაინახე-დით რამდენიმე დღის განმავლობაში ტუუილად მდგომ ურმებს, ყურძნით დატვირთულებს,—რაღან მყიდველი არსად იყო და ურემი, ხარები, პატრიარქი იძულებული იყო მომცდარიყო და გროშის ფასა-დაც ვერ გაეყიდნა თავისი ნაოფლარი; წეირაში და გარედ ყოფნის დროს კი მთელი ეს სარჩო—ყურ-ძენი ფუჭდებოდა და ლპებოდა. ასეთ სურათებს მრავლად შევხვედრივართ თვით ქუთაისშიაც. ლვი-ნის აკრძალვამ თითქმ სიცოცხლე აუკრძალა ქუ-თაიურებს, რაღან დიდადი ხალხი ლეინოსა და ყურძნიდან აღებული ფულით იკვებებოდა, სხვა შემოსავლის უქანლობისა გამო. აუარებელი გაყ-ვანილი მუშა, ყადალის დადება ერთად ერთ სარ-ჩონედ და ბუნებრივი მოვლენანი, თითქმ პირი შეუკრავთ, მძიმედ დაწვნენ ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებას.

არა ნაკლები უბედურობა ეწვია კახეთსაც. რა-ლა თქმა უნდა რომ იმმა აქედანაც დიდადი მუშა ხალხი გაზიდა და ხელი შეუშალა დროზედ და კარ-გად მოევლოთ თავიანთ მოსავალისათვის. ვინ არ იყის, რომ კახეთი განსაკუთრებით ლვინის ქვეყა-

ნაა, რომ იქ თციათს დესეტინაზე მეტი ვენახია და 3—4 მილიონ ვედროზე მეტი ღვინო მოდის. მთელ ამ მოსავალში მრავალი ჭარი გამოსტრადა წრე-ულობით. ჯერ იყო და სეტყვამ გასანაჟაური მრა-ვალი ვენახი. ჩვენ ხელთა გვაჟინი წარმოშობი, მარტო თელავის რიონისა და იქიდანაც ნათლიდა სჩინს თუ როგორ დააზარალა სეტყვამ კახეთი. მაგ. წი-ნანდალში ზარალი იყო სულ 84 ათასი მან. იქვ-დან საუფლისწულო მამულისა—30 ათასი მან. კონდოლში—45,190 მან., კისისხვევში—74,000 გ., ვაჩინაძიანში—19,500 მან.—სულ 250,000-მდე მა-ნეთისა. და ეს, როგორც ხედავთ, სულ რამდენი-მე სოფელში. მართალია, სხვა რიონები ასე მიმედ არ დაშვებულია, მაგრამ სხვაგანაც შესამჩნევად დაზარალდა ხალხი. ამას მოჰყვა ომიც თავისი უც-ნაური შედეგებით და მთელი კახეთი აუტანელ გა-კირვებაში ჩააგდო. მთელი ცხოვრება უნდა შეწყვ-ტილიყო, რაღან ერთად-ერთი სახსარი—კახური ლვინო—აკრძალეს გასაყიდათ.

ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმაზედ, რომ ლვინის აკრძალვა გამოწვეული იყო უბრალო გაუ-გებრობით, მაგრამ დღევანდლიმდის ეს გაუგებრობა ლოდიფით აწევს გულზედ ლვინის მეურნეებს. ან რას მიალწიეს იმ აკრძალებით? რუსეთში არყის მსმელებს ათასი სხვა საშუალება გამოუგონიათ დასატრანზად და უკველდე გაზეთებს მოაქვთ ამბავი, რომ იქ სეამენ დენატურატს, პოლიტურას, ოდეკოლონს, თამბაქოს ნაღულს და ათასგვარი სისაძგლით იწამ-ლავენ თავს. ამავე დროს ყველგან სწარმოებს ჩუ-მად გაყიდვაც ლვინისა, რაღან ყოვლად შეუძლე-ბელია თვალუურის დევნება იმ აუარებელ ხალხი-სათვის, რომელიც ლვინითა და არყის ვაჭრობით ირჩენდა თავსა. შორს რომ არ წავიდეთ, თბილის-შიაც პრივლად შეხვდებით მოვრალებს და აქედა-ნაც უნუგეშო დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ქურდ-ბაკაცები და ბოროტ-მოქმედნი ახერხებენ თა-ვიანთ ჯიბის გასქელებასიც კი უკეთ, ვიდრე მძამ-დე და პატიოსანი გლეხი ან ვაჭარი კი პირში ჩა-ლა გამოვლებული რჩება. ერთი ხელის მოსმით იდა-მიანთა ზნეობის გარდაჭმის ყოველთვის ისეთი შე-დეგები მოსდევს.

მაგრამ დაუბრუნდეთ კახეთს. სად უნდა წავი-დეს იმოდენა ლვინო და რითი უნდა გამოიკვებოს ისედაც დაცემულმა, უმუშაველოდ დარჩენილმა გლეხება? ისევ უნდა ჩარჩებს, მოვახშეებს და ითა-ვარ ქურდ-ბაკაცეს ჩაუვარდეს ხელში რომ დღეს მაინც არ მოკვდენ შიმშილით, რაკი ხვალეს იმე-

დით არავინ ძლება. ასეთ უპედურებაში, კრედიტი მონც უნდა გაეჩინათ ფართოდ გო ეხებისათვის, რომ თავი შეენახათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ასეთი საქმე არავის უკისრია და კახეთისაც ისეთივე შიმშილი მოელის, როგორც იმერეთს.

დარჩა ქართლი. მაგრამ ქართლი ყოველთვის იყო და არის ყველაზედ გაღატაკებული და დაცემული, რადგან ეს დედა-გული პურის მოსავლისა გამოიფარა და ათასგვარი დახლართული პირობების გამო სრულიად დაჭკარგა სახელიც კი პურიანობისა, არამე თუ სახრავი. ქართლის სოფლები მეტად დარიბნი არიან შემოსავლით და ვარე სამუშაოთი იყენებენ იმას, რაც შინ მუშაობით აკლიმათ. მუშაობები რკინის გზაზედ, მიდიან სამკლად, სათოხნად, თუ სხვა რამ მიწის სამუშაოზედ სხვაგან. ყველაფერი ეს მოსპობილია დღესა და მოუსავლობისა და ომის გამო ქართლიც სულს დაფავს სიღატაკეში. ერთად ერთი მაშველი წყარო ქართლისა — მეხილეობა — რომელმაც უკანასკნელ წლებში კარგად მოიკიდა ფეხი და პროგრესის გზასაც დამდგა, — წრეულ უცებ დიდ კრიზისში ჩინარდა. თმა შესწყვიტა მიმოსვლა, დასცა ხილის ფასი და ათასობით ფუთი

სიუკეთესო ხილისა ან ჩალის ფასად იკიდება, ან სულაცა ლპება. აქაც, რასაკვირველია დიდ სამსახურს გაუწივდა ხალხს მოწესრიგებულ / კრედიტი ან ვაჭრობის ორგანიზაცია.

ამ, როდესაც საკითხი სდგრებულებული თუ რა დახმარება აღმოეჩინოს სოფლებს — შეკრიტიკებთ და ჯარში გაწვეულთა ოჯახებს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს არა საქველ-მოქმედოთ ფულის დარიგებას, — რითაც ხალხი მხოლოდ ირყვნება და მეურნეობასაც არაფრით არგებს, — არა ედ შრომის ორგანიზაციას. ეს ორგანიზაცია ბევრის მხრით გაიუმჯობესებდა ესლანდელს მდგომარეობას და მუმავალისათვისაც მოამზადებდა უკეთეს ნიადაგს განვითარებისათვის. ყველა ის თანხები, რომელიც შეიძლება გადადებული იყოს თავად-აზნაურობისაგან, ერობის კავშირისა თუ მთავრობ., უნდა მოხმარდეს საზოგადო სამუშაოთა შექმნას. უნდა შეიქმნას კოოპერატივები ნაწარმოებთა გასასაღებლად, საცა ეს ნაწარმოები რჩები გაუკადავი, მაგალითად ხილი ქართლისა, თამბაქო შვი სლვის ნაპირებისა და ქიზიყისა, რომელიც იმისდა მიუხედავად რომ თამბაქო არამც თუ აკრძალული არ არის, არამედ დიდ



გერმანელებისაგან აფეთქებული წყლის კოშკი ქ. ლოდში.

გასავალშია,—მაინც საშინელ კრიზისს განიცის.

უნდა მოეწყოს ახალი და გაძლიერდეს უკვე არსებული საკრედიტო კოოპერატივები, რომ დახმარება გაუწიონ ისეთ უმწეო მდგომარეობაში ჩაერდნილ დარგებს, როგორიც არის მაგალითად მეღვინეობა.

მაგრამ მთავარი უურადლება უნდა მოექცეს ისეთ საქმეებს, საკა უმწეოდ დარჩენილი მუშები და გლეხები იპოვიდნენ დღიურ სამუშაოს. ასეთი საქმე არის ის საქმე, რომელსიც ემსახურება წოლმე ერობა. გზების გაუვანა, გაუვანა სარწყავ არა ბისა, ხიდების გაკეთება და სხ. ესეთი სახოგადო საქმეები მით უფრო სასარგებლონი იქნებიან. რომ ერთსა და იმივე დროს დააკმაყოფილებენ უმუშევართ ნამდვილის დაუასებით მათი მარჯვენასა და არა სამოწყალოდ გადაცემული გროვებით და მეორეც, მოამზადებენ ჩვენს გავერანებულ ქვეყანაში ნიადაგს უკეთესი მომავალისათვის. დღეს მოედნ მეურნეობა შეფერხებულია უგზოუკვლობით, უწყლობით და სხ. საქონლის პატრონს უგზოობისა გამო ვერ გაუტანია ბაზარში თავისი ნაწარმოები და ვერ შემოუტანია ბაზრიდან საჭირო ნივთი უარეთ გლებს ვერ უხეირებია თავისი მამული, რადგან სარწყავი წყალი არა აქვს და ათასგვარი გადასახადი კი იწევს კისერზედ, —ბატონისა, სახელმწიფოსი, საერთო და სხ და სხ.

შხოლოდ ასეთი რაციონალური საშუალებით შეიძლება ეშველოს რამე დაღუპვის გზაზედ დამდგარ ხელხსა და არა საქველმოქმედოთ გაცემული გროვებით.

ჩვენის აზრით, მთელი ეს საქმე უნდა იყისროს და გაუძლვეს მას—თავად-აზნაურობაშ, როდგან საუბედუროდ აქამდის სხვა არავითარი ლეგალური ორგანიზაციი, რომელსაც შეეძლოს ამ ტკირთის ზიდვა, არ არსებობს. მართალია, დღეს ომია და ყველას ყურადღება აქეთია მიმართული, მაგრამ თავად-აზნაურობამ საქართვის წვლილი გაიღო ომისათვის საც; გარდა ჯარული გაუვანილებისა, მან მოაწყო სიავადმყოფო, გადასდო ფული, იწყობს სამხედრო რაზმებს, შველის დაჭრილთა და აუადმყოფთა ევაკუაციას და სხ. და სხ.—ყველა ეს უკვე გ ჩარჩულია, მუშაობა სწარმოებს და მაშასადამე მიჩნილი ჰყავს ხალხი. ახლო დროა ვიფიქროთ მეორე მხარეზედაც, იმ მხარეზედ, რომელსიც გაცილებით მეტი უბედურება შეიძლება მოჰყვეს ვიღრე თვით ომსა— ვიფიქროთ შიმშილზედ. თუ ამზა კვდება ერთი, შიმშილი ემუქრება ათს და ომიდან დაბრუ-

ნებულისათვისაც აუცილებელი შეუჩნეობის ჯან-საღად და ხელი არ არ საბოლოოდ კი გატყდეს წელში და სახორციელებას არმიერებს.

დავდექაროთ, ვიღრე შესაძლებელობა კიდევ. გვიცით მარტივი კიდევ.

6. 8.

## გ ე ღ ე ბ ა

არ შემისმინო, არა, ლალადი,  
მტანჯე, ჩამიქრე მზე სხივთა მფენი,  
ილტოდე ჩემგან, დაუდნობელი  
რეინა უეიქმნეს ეგ გული შენი.  
აუწერელი სევდით შემმოსე,  
ჯალათად იქმეც, მიმეცი იკვებს;  
იყავი ცივი როგორც საფლავი,  
საფლავი თვით მეც გამიჭერ ჩემო  
ლრუბლით დამფარე ჩემი ვარსკვლავი,  
ვგოდებდე, არეინ იყოს გარშემო.  
თვილთაგან ურემლი დამაღვრევინე,  
აძაქვითინე, ვით წყლის პირს ძეწნა,  
ეკლის გვირგვინი დამადგი თავსა,  
ბევრიც გეხვეწო, ნუ გასჭრის ხვეწნა.  
რაც ჩემთვის ეხლი ძვირფასი არის,  
ის კველა შენგან დე გაცამტვერდეს,  
ვარამი მიძღვენ, გული მშფორვარე,  
ათიათასი ტანჯვით იძგერდეს.  
სიმოთხის კარიც დამიაშე, ოლონდ  
უგრძნობელს, ცივსა, მომიდე აღი  
ლანდად მაჭურე, რომ გამოვსტადო  
სიცოცხლე სიკვდილის ძალი.

მაის ნიაგი.

# გერმანია და გერმანულები

(დასასრული)

თუ ომია, თქმა არ უნდა, თვალში არავინ გვაკოცებს, ომშა გახდებულ ადამიანს ზნე-ობის კანონებისათვის არა სცხელა. მოჰკვდის, ხიზ-ტით ქალა გაუჩებოს თავის მეტოქეს, —აი სად მიჰ-ქრის მისი გონიერა! ამ მხრივ, თქმა არ უნდა, არც ჩვენი ჯარის-კაცები იქმნებიან უკოდველნი, ხელს ვერ დაფაფარებთ თვით ჩვენს მოკავშირებსაც. მაგრამ არც ის უნდა დაიფაროს, როქ მტერი ბევ-რჯელ საჭიროებით გამოუწვეველს სისასტიკეს იჩენს რაც შეეხება საპარალიან მსჯავრს, უნდა შევნიშნოთ, რომ გერმანებია მშეიღობიან ცხოვრების დროს მართალია, მუდამ მხადებაში იყო, მაგრამ მთელ საუკუნის განმავლობაში, თუ ფრანგებთან ომს არ შეიიღებთ მხედველობაში, გას ერთხელაც თოფი ირ გაუვდია. უცხო ერთადში სიმპატია-ანტიპატია ისე-თვე იყო, როგორც სხვებისა. ანგარეშზეც ესევე ითქმის. სხვაფრივ თუ ვისმეს პქონია აზრი უცხო ერთა გამოსარჩევებისა, არც გერმანია დამდგარა უკან. როდესაც სერბები ყარავეორგეციჩების მეთა-ურობით აუჯანყდნენ თამალებს, ევროპაში ერთად-ერთი გიოტე იყო, რომელიც დაფაცურდა, ალივსო უსაზღვრო ჰერმანიური სიყვარულით ამ უცნობ და ნახევრად ველურ ხალხისადმი, რომელთა არსებობა იმდენიც უწყოდნენ ევროპიში, რამდენადაც აფრი-კელ ქაბიტთა ტომებზე გროტე სწერს პოემის კე-თილშობილ ტყვე ქალ აზან-აღაზე და მთელ ევრო-პის უურადღების ისარს გადაპხრის მისკენ. ასევე მოხდა საბერძნეთის თავს; როდესაც ეს უკანასკნე-ლი აჯანყდა დამოუკიდებლობისათვის მთელი გერ-მანია ფეხსნე დადგა, ელლინთა სიყვარულით ფრთა გაშალა, რაც ასე შევენივრად დასურათხატად, ვიღ-ცელმ მიულერის მელოდიებში „გერმენთა სიმღერე-ბი“. ასეთივე კეკლუცი სიმღერებით შემხვდა ჰანრი ჰაიდიარების აჯანყებას 1848 წ. შეეიცარელთა ბრძოლას გეორგ პერვეგი უფალობს ჰიმნს... გერმა-ნელებს არც თუ ფრანგებისათვის აუქცევიათ ზურ-გი, როდესაც იქ გახურებული რევოლუციის ქა-რიშხალი არყევდა მთა-ბარს. კლპოშტოკი, გეორგ ფორესტი აღმატრენით ეგებებიან მას. „სიკვდილი დანტონისა“ დიდებულ ტრაგედიის სიუეტია გადაიღო სამწუხაროდ ნააღრევად განსვენებულმა გეორგ ბი-უნერმა. თვით ნაპოლეონი, რომელმაც შეერი შა-

ვი დღე განაცდევინა პერმანის, პოეტთა საყვარელ გმირიდა მხდება, ზავ, ბრაგებ, ჰანრი-ჰაიდ და მრავ, სხვ. ხოლო ამ უკანასკნელ დროს ცნობილმა ფუნ-გოლტმა დასტამბა წიგნი აგვიმებულ და მისი ჯარია\*, რაც ისეთ ძეგლიად უნტარისტებისათვის, რომ-ლის მზგავსი არა თუ უცხოელტბერი, სამარტინელი თვით ფრანგებსაც კი არ დაუდგავთ თავიანთ სახელოვან დიდ ორატორ-პოლიტიკოსისათვის.

მას რად ყოფილა გერმანია დაშნაშავე? მხო-ლოდ იმიტომ, რომ მას უფრო, ვიდრე სხვას, გა-მოუჩენია სიცოცხლის ძალა. გერმანია გაშლილი საასპარეზო ველია, სადაც მომუშავე ჰიანტელები დაცუსტუსტებენ. გერმანიან დაიმორჩილა თვით ბუ-ნება. დაკლაკნილ მდინარე რეინს მხოლოდ მან მისცა სწორე მიმართულება, რის გამოც იგი გარ-დაიქმნა ვაჭრობის მთავარ ღერძად. დღეს რეინის ნაპირები აყვავილებული ღიდებულ სავაჭრო და მრეწველ ჭალაქებით, რომელთა არსებობა სოფ-ლის სახელებითაც არ იცავს ამ თციადე წლის წინად. ბეჭურის ვაჭრობა-მოუწველობა ფაქტიურად მათ ხელში დარჩა. რკ. გზამ საუცხოვოდ შექურა გერმანია, როგორც ახალი კართავი გერმანია საშინელი სის-ტრატით იზრდებოდა. ზღვა მისი მორჩილი შეიქმნა. ზღვის დედოფლალი ინგლისი შურით შეტყურებდა მის ზრდას, ვერც ის, ვერც მისი დობილი სატრან-გეთი ვერა პნიშნავდნენ, თუ ეს საოცარი ერთ რა-რიგი სისწრაფით ფეხს იყიდებდა იქ, სადაც მათ წირმოდგენაც არ შეეძლოთ. გერმანია თავის მეტა-დინობით სამკედლო-სასიცუცხლო ომი გამოუსა-და მთელს მსოფლიოს ეკონომიკურ ნიადაგსაც. მისი აფრა, ახალგაზრდა იმპერიის დროშად დაურიალებს ყოველგან. ვერაფერმა ვერ შესძლო გერმანიის ვაჭ-რობის ზრდის შეჩერება, ნელ-ნელ, მაგრამ ბეჭი-თი ნაბიჯით მსოფლიო პაზრებიდან იგი ერევებოდა ანგლისსა და საფრანგეთს. ეხლა, ამ ომის დროს, ყველანა ბოიკოტს უტადებენ გერმანიის. რა თქმა უნდა, ვაჭრობის ღმერთს არც რისხვა სწამს და არც სენტიმენტალობა. არავითარ პატრი-ოტულ მოწოდებას არ შეუძლიან მისი შეჩერება და თავისთავიდ იქ შეიკრება, სადაც, კი საჭაროების დაინახავს. ასე იყო დღემდის. ასევე იქნება ხალაც, როდესაც ზავი შეიკვრება. გერმანიის სული ვეშ-პად გარდაიქმნა. იგი სიტყვებს არ ზარჯავს უბრა-ლოდ იქ, სადაც მოქმედებაა საჭირო. ამ თციადათ წლის წინად, მაგ., გვინების შურეს ნაპირებს ეწვივ-ნენ ვერმანელები. იქ წინად ათასში ერთხელ ინ-გლისისა და ფრანგების ხომალდებს თუ შეუვლიათ,

ოთრებმ სხვაფრივ იგი ყრუ უდაბნოს წარმოადგენდა. მცხოვრებნი, რა თქმა უნდა, მათთან ეწეოდნან ვაჭრობას. მაგრამ აი, გაჩნდნენ გერმანელები და სწრაფად მთელი ეს მხარე დაიკავეს. მთელი ფიტების ვაჭრობა ეხლა მათ ხელში გადავიდა.\*.) სწრაფი და იაფ-ფასიანი ნაოსნობა, საქონლისა და მგზავრების გადაყვან გადმოყვანა გერმანელებისკენ უწეოდა იქაურ მცხოვრებლებს. ამათაც შეითვისეს მცხოვრებთა გემოვნება და მაღლი ინგლისისა და ფრანგების ვაჭრები აიძულეს იქაურობა ან დაეკალათ, ან და მათგან შეეძინათ საქონლი. მართლაც, კავლა ეროვნებათა ფირმები დღეს მთელს იმ მხარეში მარგან არიან დამოკიდებულინი, უიმათოთ ველარ გასაღებენ, თუმცა მათდამი ერთი ზიზლის მეტს არის გრძნობდნენ... ასევე ითქმის იფრიკის მეორე მხარეზე. კატანადან მოყოლებული ნილოსის შესართავის გასწრივ მათ საუცხოვო რეინის გზები გიყვანეს და ნელ-ნელ კონგოს დაუახლოვეს. ამან კი ის გარემოება შექმნა, რომ ბელგიელებმა კონგოსთან ვაჭრობა ამ გზაზე გადმოიტანეს, რადგან ამ მხრით უფრო სწრაფად გადმოდიოდნენ ევროპაში, ვიდრე ძველი გზით. ეს კი თავისთავად ნიადაგს ამზადებდა, რომ ახლო მომავალში კონგოც სულ მთლად გერმანელთა ხელში გადმოსულიყო, როგორც ანტვერპენი სიხელით ბელგიის პორტიდ ითვლებოდა, ნიმდვილად კი გერმანელებს ეკავათ იგი...

მაგრამ კრამი; ამ მცირე მიმოხილვით ჩვენ გვსურდა ჩვენ მკითხველთავის დაგუენახებინა, რომ გერმანია და გერმანელები ლოკ კურისტობას უმაგალითო მაგალითს თუ აჩვენებენ, აჩვენებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ლაურინის უსამართლო უშროების უკავშირი არ დარჩენია, რომ წინ არ წასულიყვნენ. მათ მოუკარებლობას და სიცივეს უკიდინებები, მაგრამ ვიწყდებათ ერთი რა. რომ ვერმანიას ვარმა ვარალისათვის არ უკალა, რომ იკი მუდამ შრომაში იუმ გართული, ნაკლები უკირსლი და მეტი საჭე. — ი გერმანელის ლოზუნები! თქმა არ უნდა, საბოლოოდ გატრენენ მას, ვერმანიას დაიმორჩილებენ, შეიძლება ისიც, რომ საპატიო ზავის ნაცვლად გასრისონ კიდეც, მაგრამ თუ ევროპა და მებრძოლი სახელმწიფონი განიგრძობენ დარღიმიანულ ტაურებას და მარტო სიტყვიერ ზიზლით დაწყებენ ზრდას, გერმანია კიდევიდ აღნდება მკვდრეობით, დროებითი შემუშვრილი მასი ვაჭრობა კვლავ აუვავილდება და რაშდენიმე ათეულ წელში დავინახავთ, რომ დღეს გასრესილი გერმანია კვლავ ჰეგემონიის ლიგამს იმოსდებს პირზი თვის მეტოქებს, რადგან გამარჯვება შრომაშია და ვასაც უნდა გაიმარჯვოს, უნდა იშრომოს.

დ. ა ძე.



## „ქართველთა შორის პორნოგრაფიის

### მომსპობი საზოგადოება“

ოდესლაც ჩვენში ერთი საზოგადოება დაარსდა.

ეს საზოგადოება ქართულ სოფლებში სადგომებს ქირაობდა, სადაც სხვა უძნიშვნელო ნივთებთან ერთად, სხვათაშორის, ბოთლებსაც ინახადა.

რისთვის ინახავდა ეს საზოგადოება სოფლის საღვიმებში ბოთლებს, ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აშის თავისი ლრმა მოსაზრება ჰქონდა.

\*.) იხილე „რუს. გედ.“

ჰქონდა საზოგადოებას კიდევ რამდენიმე მამული სოფლებად.

და თუმცა მიმულები შემოსავალს არ იძლეოდნენ, მაგრამ გასავალი დიდი ჰქონდათ, რადგანაც უწმინდეს მოვალეობად ითვლებოდა, გამგების უოველ წევრს ენაზული ეს მამულები და „მოხსენება“ დაეწერა.

ჰქონდა საზოგადოებას, იგრედვე, რამდენიმე შეაფი, სადაც ქართველი ხალხი ქველ ბარითებს და ყარამანიანის ცბებს იგროვებულ - არ ვიცით რათ!

უველია ამ საბუთის ძილით საზოგადოებას „წე-



საქართველო  
განაცხადი

გაყინულ წყალში გადასვლი რუსის ჯარისა მდ. ააბაზელ.

რა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება<sup>ა</sup> ერ-  
ვა.

მაგრამ ამ საზოგადოებაში უბრალო ადამია-  
ნებთან ერთად, ჰკენიანი ადამიანებიც იყვნენ, რომ-  
ლებიც ფიქრობდნენ, რომ საზოგადოებას უფრო  
შესაფერი და გარკვეული სახელი შექმნეროდა.  
და მართლაც...

რათ უნდა ჩქმდა საზოგადოებას „წერა-  
კითხვის საზოგადოება<sup>ა</sup>“, როცა ბოლოების შენახვა  
სხვასაც კარგად შეეძლო და როცა შემოუსავლიან  
მამულის პატრიონი სხვაც ბევრი იყო საქართველო-  
ში, თუმცა ამისთვის განათლების მინისტრის სახელს  
არავინ ირქმევდა.

მაგრამ რა სახელი დაერქმიათ საზოგადოებისა  
თვის დიდხანს არ იცოდნენ.

და მხოლოდ უბრალო შემთხვევამ გამოიყვანა  
საზოგადოების გამგეობა ამ ათტანელ მდგომარეობი-  
დან.

მოხდა კი ასე:

იმ დროს, როცა მთელი გამგეობა შეკრებილი  
იყო, ერთი მათგანი კუთხეში იჯდა და ერთი ძვე-  
ლი წიგნიდან რაღაც ფურცლებსა ხევდა.

გამოირკვა, რომ ძველ ხელნაწერში, ავტო-  
რის ხელით მინაწერ პორნოგრაფიისა ჰქონდა ადგი-  
ლი.

მაღალ ზეობის ადამიანთათვის პორნოგრაფია  
შეურაცხმულელია, ეს საზოგადო დებულებაა თა-  
ნამედროვე მორიალისა.

უფრო მეტაც შეურაცხმულელი იყო ეს პორ-  
ნოგრაფია თვით ხელნაწერის ავტორისათვის, რო-  
მელიც ვამგეობის ერთი წევრის აზრით „მიღალი და  
ფაქიზი ზნეობის ადამიანი იყო.“

ცხადია რომ პორნოგრაფიის აერონის თხზუ-  
ლებაში და ისიც საზოგადოების წიგნთსაცავში ად-  
გილი არ ექნებოდა.

პორნოგრაფიის უცაბედმა შეხვედრამ საზოგა-  
დოების წიგნთსაცავში, გამგეობის ზოგიერთ გო-  
ნებიძის წევრს მთელი იდეა იღუძრა თავში:

ეჭვი არ არის, რომ პორნოგრაფია სხვა წიგ-  
ნებში და ხელნაწერებშიაც მრავლად იქნებოდა.

ხელნაწერები კი იურაცხველი იყო წიგნთ-  
საცავში—მაში იმ მთელი ახალი ასპარეზი მოლეაწეობი-  
სა, ახალი მიზანი საზოგადოებისა!

იგ, რა მოიფიქრეს საზოგადოების წევრებმა და  
გადასწუვიტეს:

რათა საზოგადოების სახელწოდება უკეთესად  
შეეფერებოდეს საზოგადოების დანიშნულებას, ამო-  
იფხიცოს წესდებილან: „ქართველთა შორის წერა-  
კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება<sup>ა</sup>“ და და-

ერქვას მის: „ქართველთა შორის პორნოგრაფიის მომსპობი საზოგადოება“.

ამ სიფუძვლის ძალით მოკლე ხანში ქართულ ნაბეჭდ და დაუბეჭდავ თხსულებიდან განდევნილი იქმნება პორნოგრაფიული ელემენტი და თუ პორნოგრაფია მაინც გავრცელდა ქართველ ხალხში, საზოგადოება დაკვერციას თვის სკოლებს და სამკითხველოებს, რათა წერა-კითხვის შესწავლამ ქართველ ხალხს პორნოგრაფიული ნიჭი არ განუვითაროს.

ფინანსმან-ფარუხი.

## სოფლის გასაჭირო

ამ სისხლის წესმების დროს, ათესაც ცხოვრება მეტად საჭირებული შეიქმნა უკეთესობას, სოფელი სულ მავაწებული დარჩა. რა ხედია ქვეყნად, რა ამბავია მათ შეიღების თავს, რომელიც ასიბითა და ათასობით მთაშორებს სოფელს, ეს საიდუმლოება და სწორებ აქ იმარხება. ტრაგედიის ის საშინელი ძარღვი, რომელიც სოფელს უფრო ადანებს, ყადრე რომელიმე ქალაქს. გასკენ უნდა იქმნეს სოფლის უკადღება მიქცეული? რა თქმა უნდა, იმისებინ, კანც რომ სოფლის წარადგნად ითვლება: სახელმწიფო მდგრადისა და მასწავლებლისაკენ, რომელთაც კიბუნებ, წერა-კითხვა მაანც უნდა იცოდნენ. მერე ასრულებენ ამ მისიას ეს სოფლის „განმარტებული“? ცოდნად ხუ ჩაგეთვლება თუ პატებროვდად განვაცხედებ, რომ არა! სოფელი დარის განაც მიგინებულია, ერთსცაც და ბერისაგანაც. მთარეთ მთელი ქართლი საჩიმე მთდე, თუ თც მდგრელ-მასწავლებლები ნახეთ ისეთებს, რომელიც სოფელს ჩასდგმოდნენ თავში. რა ბრძანება! უმეტეს ნაწილს გაზეოთ არ აქვს გამოწერილი და ვასაც აქვს, ამასც თახჩაში გამოუშენია. რომ თახები „პრიდინისად“ ჭრიდეთ მოწერილი. ამ გარემოებამ და საზოგადო ინდიფერენციაზე სოფლისადმი დაჭიდა უმოქმედობა. სოფლის ვითამდა განმარტებულია“ სახელ კურტებად გარდაიქცნენ. სოფლის უნდა მეტი არას კიბუნები. როგორც ზედმეტი მხალებინა და ცხოვრება ის მიხაჭაბი თავისხმა კანკერი და თავ-აშებულ მაზურებისაგათ სოფელს იძღვებს, ჭრახებს მათს სეერაპი ყნე-ჩვეულებას. მე გიცხოდი და ვიცხოდი მრავალ „განმარტებულების“, თუ რა საზოზღაურ და ბილე მორიგელებად დათარებოდენ. აი, გუმინ მივაღე ცხოვდა, თუ როგორ სოფელ აუჯევში ადგალობრივ მცხოვრებ დავით ჭიდლაძეს ხანჭლით სასიკ-

ვლილოდ დაწერია მდგრელი მექანიზმი. ამ სოფელის შირადად მე მაღაინ კარგად ვიცხოდი, ვიცხოდი, ამ გლეხხაც რომლის პატიოსნებაში ეჭვი არას ღირს მემიტანია და არც შემაქვეს. მაგრამ მე არა საკლებ ვიცხოდდა, ამ „სულის განმარტებულ სოფელს შემსრულებელი და მემიტანია სოფელი იმუნდა მის ანაფრთხოების. ღირდი და ჟარია შეძრულებული იყო მისი საქციელით, გახსაკუთრებით როდესაც ან სათლამაში იყო, ქალებში თუ ქორწილდა. საკმარისი იყო თრი ჭიქ გადაეკრა, რომ სოფლის გაკოების დაჭრეთდა და აბდელარტენებდა. ბევრჯელ აუტანია სახელების სამწვავე, ძალის ბევრჯელ, თუმცა თვითია აფურიად ეს ხმა გარეთ არ გასულა. და აი, სხინს სოფლის მოთმინებასაც ფიალის მირი შევსებოა. ერთს გამოუდავა თავი და ერთს მზგავს „აუტიდრენებების“ დროს სესენბულ მის ხახვადი ჩაუცა ქავთი თვითნებობა დასისხელია, მაგრამ.

მაგალითი საკმარის სურათი: იძღვეა, რომ სოფელი უპატრითხოა, სოფელი სამანეფების განიცდის. ვითომდა „განმარტებულების“ უმოქმედობის კამო სასუქ კურატებად გარდაიქმნენ, ცხადოებას ზედმეტ მოხატვად. მათ ჭირისა და სისულების შეტიარა შექვეთ რა სოფლად. არა სხანს კანტრალით, არა სს.ნს მესამებით ინიციატივა, რა უცმა კაცური ჭედი დასხეროს, მდგარებას თავის ჭვარი და სახარება, რომ დაჩაგრებდი, განივებული და ტახტული სოფელი სისოების გზაზე დაავეხონს. სადა ძეველ მომღერათა სიუფარული? სადა წმინდა მუშაობისათვის გატაცება? სადა ადამიანი, რომელსც შეეძლოს გაწამებულ სისტემის გნურგა შექმაროს, საცხოველებელი? არა, სოფელი განწირებულია. სოფელი სამანეფების ასპარეზად გადამდიდა. სოფლის ჩვენსკენ გამოწვდილი ხელი უსასობის კურცხლებზე ეხეთქვება. და კინ მიზნით ცრადების, ვინც სე თუ ისე სოფელს მთვლინებია „მანუგებებლად“, იმას დავიწევია თავისი მისია, სოფლის ჭეშმარიტ კურატად გარდაქმნილი და იმის ნაცვლად, რომ გაზეოთები კვირაში ერთხელ მათი წაუკითხა და „ქვეშის მშავი“ გააცემისას, ანუგამოს სოფელი, მას შექვეს მხოლოდ კრთი ჭირი და გაუბა..

ქართლელი.

## პ რ ე ს ა

„თემის“ მორიგ ნომერში დაბეჭდილი იყო აქვე მოყვანილი ცნობა ქართველ სახოვალოებისაგან ლილი პატივულ ეპისკოპოს კირიონზედ და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზედ და გამომული იყო ამის „შესახებ გაკვირვება, სათაურში: „დაუჯერებელი ამბავი“:

### ეპ. კირიონი

შოთავალი გ. ზ. „ჩოვის“ № 126-ში გვითხულობთ:

„ეპისკოპოს კირიონის „აკადილიტაცია“ მასის. მას იწავენ და მაუბრებელ კათედრის დასტურად „დასუენჯის“ შემდეგ.

„ეპისკოპოს კირიონი „გაწილებული“ იყო საქართველოს ეკლესიის აუტოკეფალიას მედგარი დაცვით. სხვა სიტუაცია, რამდინარ არ გუნდს ქართველ ეკლესიის დამოუკიდებლობის იდეას.

„ჩვენ უნდა თანაუგრძნელო ამას ისეთი, როგორც ამას წინად პრინციპიად გადაწევერილ საკითხს გაფიქსირო კრიბის შესახებ.

„დამოუკიდებლობა როგორც ქართველ ეკლესიის, ისე სახელგადო ცხოვრებისა შიმსა ჰეგრიდა ჩვენს ბიუროკრატიას ქრთა და იგივე მიზეზია: გავასია, — განავითქ შხარა, გავასია სამიზნა, მას არ ენდობოდება. ეჭვა შესახათ—სურვალი აქვთ „ჩამოგვშენდესთ“. მის გამო ერთაც და აუტოკეფალიაც მიაჩნდათ, როგორც „ჩამოშორების“ პირველი ნაბიჯი.

„უნდაბლობას მოდით მოყვან თმშა. კავკასიაშ დამტკიცია, რომ ქრისტიანი მისწრავებით სცოცხლის დიდ რესუსითან ქრისტ და ესევა ის არ დამაუკიდებლობის წინადმდებარებით, ჩათვალშე, დარჩეს მხრივდა ის, რაც შეიძლება და მიმდინარე შეს სასარგებლობა.

„ერთხაც შეს დაბირებულია.

„ჯერა მიღება ეკლესის დამოუკიდებლობის ზე. ეპ. გირიანის მაწვევა ამტკიცებს, რომ ეს საკროხი შორივი საკითხია“.

შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ „ქართველი ეკლესია ფრიად ოფიციებურია როგორც სამწევისა და სამღვდელოების მხრით, ისე ცრალიციებისა და შინაგან წესწეობილების მხრით, ამიტომ შორის შეიძლება გამტკიდებლობას.

„ემდევა დამოუკიდებლობა გაფიქსირის სახელგადობას; უნდა მიეცეს თვითმმართველობა ქართველ ეკლესიასტ“ დასტურება აღ. აღ. სუმარინის გაზეთი.

დაუჯერებელი ამბავი ის იყო, რომ აქამდისაც საქართველოს ეკლესიის აუტოკეფალიის იდეა თითქმის რევოლუციონურ იდეად ითვლება და ამისათვის ზალხიც ისჯებოდა, თორებ გასაკვირველი კი არ სივალიალო, რომ ის იდეა ეკლესიის თავისუფლებისა, რომელიც ისულდგმულებს უოფელ მოწმენე ქართველს, მარტოდენ შეეძლება გაიღვიოს ის ეროვნულ-სარწმუნოებრივი ძალა, რომელსაც მსხვერპლად ეწირებოდნენ საუკეთესო შვილნი ჩვენი. ისტორიისა რაც შეეხება კირიონის რეაბილიტაციას, ჩვენ არ ვიცით, რამდენადა იგი ნამდვილი, თუ სადმე რუსეთში გაამწევდენ.



ფრანგების ჯარი ბრძოლის ველზედ ერთობა.

### ბ-6 გრ. დიასამიძის მორიგი „დანოხი“

ჩეენ არ ვიცით ხელის ფათური ბ-6 ვროგო-  
ლისივით სხვის გულში და იმკომ არ ვიცით რა  
ბოროტი განზრახულებით ხელისძლვინელობდა ბ-6ი  
„გრუზინი“, როდესაც სწერდა თავის წერილებს  
„სომხები“, მაგრამ თქმა იმისა, რომ

შეუძლებელია, მართლაც, საზოგადოებრივშია აზ-  
ნა სესა დართოს ერველ მოღაზდანდაც შეწყვილს  
თავის პირად გვედას მოსაუსნად წერილების წე-  
რის დროს შეაფრის თავი „გრუზინის“, ე. ა.  
„ქრისტენის სამაუშანო სახელის.“

გათაც უშავოს თავის ერთ, ვინც მოწადინებულია  
თავის ერთ დიად საცილენალურ იღვალის ჩქარა  
განხილულების საქმეს ემსისურთს, ის არ დაუწ-  
უებს სხვა ერთს, მით უფრო მეზობლის წმინდათა-  
წმინდას გაწინდებას, ისიც მესამე პირის გასაკო-  
რად!..

მარტო იმას შეუძლიან, ვინც მართლა მესამე  
პირთათვის და მესამე პირთა სახელით ლაპარაკობს  
და ისიც ქართველი ერთს პირით. შეიძლება გრ.  
დიასამიძეს არ მოსწონდეს „გრუზინის“ წერილი,  
მაგრამ ეს მაინც უფლებას არ იძლევს „დანოხე-  
ბის“ წერის, რადგან ეს პრესისა კი ირა, უკანა  
კარებიდან მოსიარულე ხილების ხელობა ირის.

გრ. დიასამიძე არა მარტო თვითონა სწერს  
„დანოხებს“, არამედ სხვა კა დანოხებსაც აღმო-  
ჩენს ხოლმე და მართლაც სომხურ განხეთი „ხათა-  
ბალაში“ აღმოუჩენია უფრო მდაბალი ხარისხის და-  
ბეჭდება პ. გოთუასი ერიციანისაგან. განსხვავება  
მხოლოდ იმაშია, რომ ერიციანი აბეჭდებს ქართველს  
სომხებთან ე. ი. სხვა ერთს შეიღს აბეჭდებს თავის  
ერთს შეიღებთან და გ. დიასამიძე აბეჭდებს თავის  
ერთს შვილს, სხვა ერთს შვილებთან.

გაზ. „რეზი“ ეხება სკანდინავიის სახელმწიფოთა  
შერის მოღაპერაციების და ამტკიცების, რომ ამ პა-  
ტრად ნეიტრალურ სახელმწიფოთა ინტერესების შო-  
თხოვები საშოა შეთანხმების გამარჯვებასთა. თმს  
უსათუდო „ახალი ექიმის“ შექმნა მოჰქვება. კერ-  
ძანისათვის ახალი ეკრანი — ეს მას ჰქონების  
ძალა მეოთხი ეკრანია არის, საშოა შეასწორდას კი  
სულ სხვა განზრახვა აქვთ — ამტკიცების გაზეოთ.

„სამთა შეოანხშებას სულ სხვანაირად უქსეს წარ-  
მოდგენილი ეს „ახალი ექიმის“. მას განზრახვა  
აქვს აკრა იგი ბერძნება მოდიტიკურ წარასწორო-

ბის საფუძველზე, რომელიც შეუძლებელ გახდის  
რომელიმე დიდი სახელმწიფოს ჰერიტაჟის და უკა-  
ლა ურთიერთი უკლებლივ მშევრობის/ და სადი  
განვითარების გარანტიას მიანიჭის“.

დიბურალური გაზეთი არა უსახლის მასების,  
თუ როგორ მთხდება ეს სასწაულ-მოქმედება. დას-  
ტამატების ცბიური განცხადება მისთვის სრულიად  
საქმიანია, რომ იმტკიცებული იგი. („ახ. აზ.“)

### ქ რ ნ ი ბ ა

ამიერ კავკასიის კოოპერატივების წარმომადგე-  
ნელთა მფრინავი ურ ლობა, რომელიც უნდა მომხს-  
როვო მომავალ წლის მარტში, მეფის მოადგილის  
კანცელარიის განკარგულებით ომიანობის გამო გა-  
დაიდო სხვა დროისათვის, რომელიც უალკე იქმნება  
გამოცხადებული.

**სანოვაგე ჯარისათვის.** კავკასიის სააბრეშუ-  
მო სადგურის შენობაში ჯარისათვის ახმობენ კომ-  
ბოსტოს და კარტოფილს. უკვე მიღებულია 50,000  
ფუთი კომბოსტო და 20,000 ფუთი კარტოფილი.

**თბილეულობა ჯარისკაცთათვის.** ქართულ  
სას-სამეურნეო საზოგადოების შუამავლობით კავ-  
კასიის შინამრეწველობის კომიტეტი ჯარისკაცთა-  
თვის შეუკვეთი წინდები და ხელთაობინები შემდეგ  
სოფლებში: ლილოში, ნორიოში და მარტყოფში.  
უკვე დამზადებულია ათასი წყვილი წინდა და ხელ-  
თაობინი.

**დახმარება ომში გაწვეულ ჯარისკაცთა  
ოჯახებისა.** ქართულ ს.-ს. საზოგადოების საბჭო  
წარუდგინა შოხებები თბილისის სათავად-აზნაურო  
დეპტატატა საკრებულოს იმის შესახებ, თუ რო-  
გორ უნდა შოეწყოს დახმარება ომში გაწვეულ ჯა-  
რისკაცთა ოჯახებისა იმ თანხით, რომელიც გადა-  
დებული აქვს თავად იზნაურობას.

**მებალე-ზებოსტნეთა ამიაგავობა.** ორთაჭულის  
და კრწანისის მებალებმა დაარსეს ამხანაგობა თა-  
ვითონ ნაწარმოების გასასაღებლად. ამხანაგობამ უკ-  
ვე გახსნა საწყობი მეტეხის ციხის ქვეშ, სადაც იყი-  
დება ყოველგვარი ბოსტნეული ამხანაგობის წევრთა

ბალებიდან. საწყობის გახსნამდე მებალეები თავიანთ ნაწარმოებს ჰყილდნენ კერძო ბაყლების დუქნება (საკომისიო დუქნები), სადაც ერთი-ორად იყვლიფებოდნენ მებალეები. თუ, მაგალითად, მებალის შიერ დაიაქტი მიტანილი საჭინელი იყიდებოდა მანეთნახევრად, ბაყილი მებალეს უჩენდა მხოლოდ 1 მინეთს და ამ ფულიდან უკერდა დაიაქს (საკომისიოს). საამხანავო საწყობის დაარსებით მებალეებს საშუალება ეძლევათ თავი დაახწიონ ბაყლების კვლეფის. სამწუხაროდ მებალეები უნდობლად ეკიდებიან ამხამავობას, რის გამოც ჯერჯერობით მხოლოდ 10—12 მებალე იღებს მონაწილეობას ამხანავობაზ.

## ც ა უ ს ტ ი

(გაგრძელება)

ქალაქელი ქალი. ერთი უყურე ამ კოხტა ბიჭებს! ეს კი სწორედ რომ სასირცხვოდ მრჩება: შეგათ შეეძლოთ უკეთესი ამოერჩიათ და ვის დასდევენ, ვის დასდევენ რანაირ ქალებს!

**მეორე მოხწავლა (შირველი).**

ასე ნუ პფიცხობი აგერ, უკან ორი მოვვლე-  
ვენ  
კარგად ჩატყულნი; ერთი ჩემი მეზობელი.  
მე იმ გოგონას, უნდა გითხრო, ძლიერ მოვს-  
წონვარ.  
ისინი მძიმედ მოაბიჯებენ  
მაგრამ დაბოლოს ჩვენ მაინც თან გაგვიყო-  
ლებენ.

**პირველი.** არა, ძმობილო, მორცვებისთვის არა  
მცილიან!

ჰა, ჩქარა თორებმ ის ფრინველნი გაფრინდე-  
ბიან.

რომელი ხელოც შაბათობით კოცხს ატრია-  
ლებს.

კველაზე ტკბილად კვირაობით მოვიალერებს.

**მოქალაქე.** არა, არ მომწონს ენლანდელი ქალა-  
ქის თავი.

და რაյმ იქმნ, არჩეული, სულ იბერება,  
ქალაქისთვის კი რას აკეთებს, არაფერი სჩანს.  
განა უოველდე უკან-უკან არ მიდის საქმე?

უფონებ მეტად, ვიდრე სხვა დროს, ფულსაც  
მიტა უთვლი,

ვიდრე როდისმე დაგითვლით და რა გამოდნა? ერთობული  
მათხოვარი (მდევრი).

კეთილნო ყრმანო, ტურთა ასულნო,  
ლოყა-წითელნო, კოხტად მორთულნო,  
მოილეთ ჩემხე რამ მოწყალება,

შემიშუბუქეთ მით გაჭირვება.

ნუ ჩამიტარებთ ამაოდ მღერას  
ის იშვებს, ვინც კი შესძლებს გაცემას.

ის დღე, უველა რომ დღესასწაულობს,  
დე, იქმნეს ჩემთვის დღედ სამკალისა

**მეორე მოქალაქე.** სხვა უკეთესი კვირა-უქმებს რა  
უნდა იყოს,

თუ არ მსჯელობა იმებსა და ოშის აშებზე,  
როს იქ, შორს შხარეს, ოსმალეთში ჩალხი  
ეტომანეთს

ებრძვის და პშესრავს. ფინჯარისთან ზიხარ.

ლუდსა ჰსფაშ

ჰხედავ, გემები მღინარეში იძირებიან  
და საღამოთი, როს პბრუნდები სახლში კარგ  
გულზე.

პლოცავ სიშვიდეს და დროების მყუდროები-  
სას.

**მესამე მოქალაქე.** მეც ასე ვფიქრობ, მეგობარო,  
სწორედ ისეა:

დაე, ისინი ერთმანეთსა თავებს უმტვრევდნენ,  
დაე, მათ შორის უკელაფერი აწერილ იყოს,  
ხოლო ჩვენს სახლში ძველებურად დარჩეს კო-  
ველი.

**დედაბერი (ქალაქელ ქადა).**

ვიშ, რა მორთულხარ, მშვენიერო ნორჩო  
გოგონავ!

ამა, რომელი ყმაწვილი არ გაგიარშიყდეთ?—  
მხოლოდ ნაკლები სიაშიყვა ჰო, ასე, კარგი!  
რაც კი თქვენი გსურთ, შემიძლიან მე მოვი-  
ხერხოთ.

**ქალაქელი ქალი.** აღათი, წევო! საფრთხილოა ამ  
ჯადოქართან

ასე იხდილად სიარული თუმც მართალია,  
წმინდა ანდრიას ლაშეს მე მან ცოცხლიდ მო-  
ვენა

ჩემი მიჯნური მომავალი—

მეორე. მე კი მიჩვენა იგი ბროლში ვით ჯარის—  
კაცი,

რომელს მრავალი მეგობარი მამიცი ჰყავდა.

ვათვალიერებ მე მას ირგვლივ, ყოველგან ვე-  
ძებ,

მაგრამ ამაռდ, მას არა პსურს ჩემთან შე-  
ვედრა.

**ჯარის-კაცები.** ციხე სიმაგრე გალივნიანი,

ქალი აჭაყი, ნაზ-გრძნობიანი,

აი, რა მსურდა ლაშევურო მარად

საქმე თუმც მეტად გაბედულია,

მაგრამ ჯილდოც ხომ დიდებულია!

ხმა საყვირისა მოგვაპოვნინებს

როგორც სიხარულს, ეგრევ დამხობას;

ამას ვუწოდებთ იერიშს, ბრძოლას,

ამას ვუწოდებთ ყველა ცხოვრებას.

ციხე და ქალი უნდა დაგვნებდეს,

შრომა თუმც ჩვენი გაბედულია,

მაგრამ ჯილდოც ხომ დიდებულია.

### ფაუსტ და ვაგნერ.

**ფაუსტ.** გაზაფხულისა ცხოველმყოფ მზერას

მთლიად დაუდვნია თოვლი, ყინული

და თავისუფლად ქვემოჩანჩქარებს

წყარო ან კარა და ნაკადული.

უკვე შწვანდება

მინდვრად იმედის ბერნიერება.

ბერი ზიმთარი დასუსტებული

მკაცრს მთის მწვერვალებს მიეჩარება.

იგი იქიდვან წვრილ ხორხოშელას,

ვით საფრთხობელა დონე-მიხდილი,

ჯეჯილს მოატენს, მაგრამ მზის სხივებს

სძულთ დასანახათ თეთრი შანდილი.

ჟველგახ ლტოლვაა, იღმოცენება,

მზეს პსურს სიკოცხლით ველთ იმწვანება.

რაკი წყლის პირად ამ არე-მარეს

ჯერედ კვავილნი არ გადაშლილან,

მათ ნაცვლად ირგვლივ აღიმიანნი

კოსტად მორთულნი, პნედავ, ვაშლილან.

გაპნედე ქალაქს ამ სიმალლიდგან,

ხალხი მოილტვის, მოეჩარება;

დღესასწაულობს ლვთისა ილდვობს!

რადგან თვით სდგება, ამ კარის უკუცხლდება.

ყველა მათგანი დიდი პატარა

მზის ცხოველ სხივზე სიამით თბება.

სულის შემხუთველს ბნელს სახლებიდგან,

სახელოსნოდგან, ვიწრო სარკმლიდგან,

ახორხილ ქუჩის შენობებიდგან

წმინდა საყდრების ბნელ საკნებიდგან

ვეელინი მზის სხივს მოუზიდნია.

და შეებრო გარედ გამოფენილან.

გაპნედე ერთი, ხალხი რა ცოცხლად

ბალსა, მინდორს, ბორცვს მოსდებია.

იმ მდინარესა სიგრძე-სიგანით

რამდენი ნავი მოსურებია.

ის ერთი თითქმის ჩაძირვას ლამობს,

იმდენი სულნი ზედ დასდებიან.

თვით მთის შორეულს ბილიკებიდგან

ფერად სამოსში ყრმები სჩნდებიან.

მესმის, სოფელი თვისის გცხოვრებით

ერვილ-ხივილით უკვე ხმაურობს;

ხალხის ნამდვილი იქ სამოთხეა და წმინდა

ზეცა.

დიდი პატარა აწ კმაყოფილი

ჭხარობს, ნავარდობს, დღესასწაულობს

აქ თვით კაცი ვარ, იღამიანი—

ნება მაქვე კაცო ესრეთად მეცა!

**ვაგნერ.** თქვენთან ბატონო დოქტორო, დიდად სა-  
მო არის,

პატივსადები და სასარგებლო ეს სეირნობა,

მაგრამ მე მარტო ჩემს თავს მათ შორის სულ

არ გაერევდი,

რადგან ყოველგვარ, სიტლანჭისადმი დიდი

შაქვებ მტრობა.

ეს ქრიიმული, საკრავთ წუწუნი, ეს თამა-

შობი.

მძულს მეზოზლება!

ლრიანცელობენ, თითქოს ბოროტ სულს ფეხი

დაედგას

და უწოდებენ ამას სიხარულს  
და უწოდებენ ამას სიმღერას!

**გლეხები** (ტახტაქების ქადაგი).

შეკვა და სიძღვრა.

მწყემსი ცეკვისთვის ემზადებოდა  
ჭრელი სამოსით და ყვავილებით  
იყო შორითული და მოკაზმული;  
ცატვის ქვეშ უკვე წრე შემოევლოთ,  
იყო თამაში გაჩაღებული  
თვით სიგიურემდის გარტაცებული.

როს წრეში გახტა გამალებული,  
ქალის დაეჯახა იდაყვით უცბად;  
კოპწია გოგო მოუტრიალდა  
და უთხრი მწყემსა განა თუ მტრულიდ  
• ეს მოგივიდა, ბიჭო, სეპრულიდ!

მაინც კვლავ ცეკვიტად მოლომდის მიჰყავთ,  
ცეკვენ მარცხნითა, ცეკვენ შარჯვნითა.  
ურიალებს კაბა, გაწითლდნენ, დასცხათ  
და თან უკერენ ხელის ხელითა.  
თან ეხლებიან თეძოს მკლავითა.

„ვერ დამირწმუნებ, იყო ერთგული,  
ვით ზოგიერთის დანიშნულს სჯერა  
და დარჩომილა მოტყუებული,  
მაჯნურისაგან მიტოვებული.“  
მაგრამ იტუებს ის ქალსა ცალკე,  
და ცაცხებ ქვეშ კი ისმის სიმღერა,  
საკრავთ გუგუნი და სიკრავთ ელერა!

**მოხუცი გლეხი.** თქვენგან, ბატონო დოქტორო,

ეს საამოდ გვრჩება,

რომ ხალხის წრეში გარევა არ იუკადრისეთ  
და უდიდესად განსწავლულმა თვალით დაგვხე-  
დეთ.

მაშ მიიძლვენით ეს ჯამთასი ლუდით ალვისილი.  
გაწვდით და თანაც გისურვებთ, რომ ამან

არა თუ

მარტო წყურვილი მოგიყლათ თქვენ, ირამედ  
მისი

ყოველი წვეთი სიცოცხლის დღეთ გარდეგენ-  
(იოთ-

**ფაუსტ.** ვიღებ რა ხელში საამო სასმელს,  
მაღლობას გწირავთ და გარდღევულებული,  
(ხალხი მის კარშესო თავს იურის).

**მოხუცი გრეხი.** სიმართლემც რომ კარგი ჩქენით  
აქ მოსვლით,  
რომ ამ გხიარულს დღესასწაულს ყველას გვე-  
ჩვენეთ.

თუმცა უწინაც ვაჭირების დროს ჩვენი თავი  
არ დაგვიწყნიათ. აქ თქვენს ირგვლივ მრავალ-  
ნი სდგენან  
რომელ სიცოცხლე მამათქვენმა ჭირს გიმოს-  
ტაცი.

და მანვე იმ ჭირს ვადაშდებსა ბოლო მოულო.  
თქვენ იმ დროს, ჯერედ ახალგაზრდა, ავადშ-  
უოფებთან  
იარებოდით. ბევრი გვამი დაგვიმარხია,  
მაგრამ თქვენ დარჩით მთლიად უვნებლიად,  
თუმც გარდატანეთ

მრავალი განცდა დამხმარებელს დამხმარებე-  
ლი  
გფარვიდა რჩეულს და უვნებლიად ის გამყო-  
ფებდა.

**ჩველანი.** დღეგრძელი იყოს დიდებული ადამიანი,  
რომ კვლავ შეიძლოს დამხმარება ჩვენის ხალ-  
ხისა!

**ფაუსტ.** ჩის დიადს თაერ მოუღრიკეთ, რომელიც  
მაღლით  
ჩვენ დაზმარებას გვასწავლის და შველას გვა-  
ძლებს.

(განგერთან ერთად განზე გადი).

**ვანგერ.** რას უნდა ჰგრძნობდე, დიდებულო ადა-  
მიანო,

ხალხი რომ ასე გეპყრობათ თქვენ პატივისცე-  
მით!

ბედნიერია, უინც კი ასე თავის ნიჭიდან  
ნაყოფს მოიშეის, პნახავს ამგვარ სარგებლო-  
ბას.

თქვენზე უთითებს მამა თვის შეილს, ერთ-  
ერთმანეთს

ჰკითხავენ თქვენზე, ისწრაფიან თქვენს სანახა-  
ვად.

საკრიავებს უცებ აჩუმებენ, აღარ ცეკვავენ.

ჩაუკლით გვერდით და ყველანი რიგში დგე-  
ბიან

ქადებს ისცრიან და ცოტალი იქრი / მხოლოდ  
რომ მოგიყარონ მუხლი ქვეყნის უფროფრთხოების ვითარება  
იმაზე და მას დანს.

ა. გ.

(შემდეგი იქნება).



რედაქტორი-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

# გერმანის მოწირეობა

1915 წ.

ერველკავირებულ საზოგადო-ეკონომიკო და სალიტერატურო


ნილადი გერმანი.

ცურნალ

‘კლინ-გ’-გერ.

წლიური ფასი ხუთი შან., ექვსი თვით სამი შან.

ცალკე ნომინი რი შაური.



ნილადი გერმანი.